ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N58

24.10.2025 წელი **ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**

12:00 საათი **ოთახი 3-01**

მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ოთარ გრიგოლია** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი** (საფუძველი წერილი #12-03252965-03, 23.10.2025წ.);
   მომხსენებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 5 179,4 ათასი ლარით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოყო დამატებით 5 000,0 ათასი ლარი სამგზავრო ვაგონების შესყიდვის დღგ-ს დასაფარად, ხოლო დამატებითი 4 000,0 ათასი ლარი მერიის შიდა ეკონომიებით მოვიძიეთ, ჯამში სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის პროგრამას ემატება 9 000,0 ათასი ლარი, ასევე 9 000,0 ათასი ლარი ემატება საახალწლო ღონისძიებების ნაწილს. გარდა ამისა სტუდენტთა დაფინანსების

პროგრამა იზრდება 150,0 ათას ლარს, ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით. სპორტული ღონისძიებების პროგრამას ემატება 600,0 ათასი ლარი, რაც ღონისძიებების დაფინანსებას და ა(ა)იპ-ების ხელშეწყობას მოხმარდება. პროგრამას სპორტი უფროსი თაობისთვის ემატება 100,0 ათასი ლარი, რაც განპირობებულია პროგრამაში მსურველთა რაოდენობის ზრდით. ახალგაზრდულ ნაწილს ემატება 250,0 ათასი ლარი, რაც მოხმარდება ახალგაზრდული ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებას.

სარეზერვო ფონდში თანხა თითქმის ამოწურულია, ამიტომ ემატება 1 000,0 ათას ლარი. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის პროგრამების მიმართულება იზრდება 4 000,0 ათასი ლარით. ბიუჯეტის მატება დაბალანსებულია შიდა რესურსებით, რაც ძირითადად გახლავთ სესხების დაფარვის ნაწილში წარმოშობილი ეკონომიებით, ჯამში ეს გახლავთ 21 000,0 ათასი ლარი, რაც გადანაწილდა სხვადასხვა მიმართულებაზე. ცვლილების შედეგად ჯამში ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა **2 353 788,4** ათასი ლარით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ოთარ გრიგოლია - 2024 წელს, ბიუჯეტს რა თანხა დაემატა საახალწლო ღონისძიებების ნაწილში?

ლევან მიქავა - დაახლოებით იგივე თანხა დაემატა წინა წელსაც, ეს გახლავთ ადმინისტრაციის ნაწილში დაფინანსება, რაც შეეხება ფეირვერკებს და მსგავს ტექნიკურ საკითხებს, ეს თანხები თბილსერვის ჯგუფის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ოთარ გრიგოლია- (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე